ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1928 წლის მაისის 16.	№ 11 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 114. ოთხმეტრიანი სანაპირო ზოლის ჩამორთმევისა და საგუშაგო გზისთვის ოთხმეტრიანი მიწის ზოლის მიჩენის შესახებ.

„ 115. ა/კსფსრ-ში მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების შესახებ.

„ 116. გრძელვადიანი კრედიტის სპეციალური კაპიტლის შესაქმნელად მოგებიდან გადასადები ანარიცხის შენახვის წესის შესახებ.

„ 117. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

„ 118. საზამთრო და საზაფხულო საძოვრების სარგებლობისათვის საიჯარო სასყიდლის დაწესების შესახებ.

„ 119. 1926-27 წ. სამშენებლო სეზონის შედეგების შესახებ.

„ 120. საკრედიტო გეგმების შედგენისა, განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ.

„ 121. ა/კსფსრ-ში 1928-29 საშენაწერო წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

„ 122. ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საარბიტრაჟო კომისიებში საქმეთა წარმრების წესების შესახებ.

„ 123. 1928 წელს, უმუშევრობის გამო, პოლიგრაფიული მრეწველობის კვალიფიციურ მუშათა უზრუნველყოფის უკიდურესი ვადის შესახებ.

„ 124. მუშა-მოსამსახურეთა და უმუშევართა სამხედრო სამსახურში გაწვევისა და მისი გავლის დროს შრომისა და სოციალური დაზღვევის სფეროში მინიჭებული შეღავთების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

114. ოთხმეტრიანი სანაპირო ზოლის ჩამორთმევისა და საგუშაგო გზისთვის ოთხმეტრიანი მიწის ზოლის მიჩენის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ღა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვის დებულების დამტკიცების შესახებ—1927 წლის ივნისის 15-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 62, მუხ. 624) მე-3 და მე-4 მუხლის თანახმად—ამირკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ჩამოერთვას მიწის მოსარგებლე ყველა კერძო პირსა, საადგილ-მამულო საზოგადოებასა, სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციას და გადაიცეს სანაპირო დაცვის ორგანოების განსაკუთრებულ გამგებლობაში მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე:

ა) ოთხმეტრიანი ზოლი—სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან დაწყებული;

ბ) ოთხმეტრიანი მიწის ზოლი სანაპირო კორდონის ხაზის გასწვრივ—საგუშაგო გზისთვის.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად მოეწყოს,—აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების განკარგულებით,—რესპუბლიკანური კომისები, რომლებშიაც შეელენ სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო პოლტიკური სამმართველოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელნი; აღნიშნულ კომისიებს დაეკისრება—ხელმძღვანელობა გაუწიონ სსრკ საზღვრების დაცვის დებულების სათანადო წესების განხორციელების საქმეს.

3. სათანადო რესპუბლიკანური კომისიის განკარგულებით ადგილობრივ, სანაპირო მაზრების ტერიტორიალური მდებარეობისა და სანაპირო დაცვის რაზმების ტერიტორიალური განრიგების მიხედვით,—მოეწყოს ადგილობრივი კომისიები; კომისიებს დაეკისრება სანაპირო ზოლის გამოკვლევა, რათა შედგენილ იქნეს იმ საადგილ-მამულო საზოგადოებათა და ცალკეულ მშრომელ მიწათმოსარგებლეთა სია, რომელთაც უნდა ჩამოერთვას მიწა, როგორც შენობიანი, ისე უშენობო, აგრეთვე შენობების სხვა მფლობელთა სია, რა მიწაზედაც უნდა იყოს ეს შენობები, და ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ მიწებზე ტყის ნაკვეთების მოსარგებლეთა სია. ამავე კომისიებს დაეკისრება ამა დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნული ხარჯის განსაზღვრა.

4. მიწის ჩამორთმევა მოხდება მას შემდეგ, რაც რესპუბლიკანური კომისიები წარადგენენ ცნობებს და მათ დასკვნას დაამტკიცებენ აზერბაიჯაინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები; ამ ჩამორთმევას აწარმოებენ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ორგანოები მიწათმოწყობის წესით, მიწის კოდექსის სათანადო მუხლის თანხმად.

5. დაღესტნის აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალო კომისარიატებს მისცენ მიწა საერთო-სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან იმ საადგილ-მამულო საზოგადოებათ და ცალკეულ მშრომელ მიწათმოსარგებლეთ, რომელთაც ამა დადგენილების თანახმად ჩამოერთმევათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

6. სანაპირო ზოლში ტყიანი ადგილების გაწმენდა უნდა მოხდეს ტყის კოდექსის სათანადო მუხლების წესების თანახმად და სპეციალურ კანონდებულებათა დაცვით.

7. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვის დებულების დამტკიცების შესახებ—1927 წლის ივნისის 15 თარიღით გამოქვეყნებული დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად გასანთავისუფლებელი ოთხმეტრიანი ზოლიდან შენობების გადატანის ხარჯი აენაზღაურება სათანადო მიწათმოსარგებლეთ საერთო-საკავშირო სახსრით.

8. ამა დადგენილების წესით ჩამორთმეული მიწების გაწმენდა დაეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს.

გაწმენდა უნდა მოხდეს არა უგვიანეს ერთი წლისა ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

9. ამა დადგენილებით გამოწვეული ხარჯების აღრიცხვა შედგენილ იქნება რესპუბლიკანური კომისიების მიერ ადგილობრივი კომისიების მასალის მიხედვით და წარედგინება, სათანადო ინსტანციების მეშვეობით, სსრ კავშირის სათანადო ორგანოებს.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. აპრილის 11. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 100 №-ში 1928 წ. მაისის 19-ს.

დადგენილება № 35 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

115. ა/კსფსრ-ში მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადგენილ იქნეს, რომ მუშა-მოსამსახურეთა მიერ საკუთარი საჭიროებისათვის ინდივიდუალური წესით წარმოებული საბინაო მშენებლობის ფინანსიურად მოგვარება მოხდება;

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სესხის მიცემით როგორც კომუნარული მეურნეობის ცენტრალური ბანკისა და საბინაო მშენებლობის სპეციალური კაპიტალიდან, ისე მუშათა საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანური და ადგილობრივი ფონდიდან,—სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მუშათა ბინების მშენებლობისათვის ხელისშეწყობ ღონისძიებათა შესახებ 1927 წ. ივნისის 15-ს დამტკიცებული დებულების (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 36, მუხ. 369) 22 მუხლის წესისამებრ;

ბ) ადგილობრივი კომუნალური ბანკების საკუთარი სახსარიდან.

2. მუშა-მოსამსახურეთა მიერ წარმოებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის კრედიტის მიცემა შეიძლება მხოლოდ ისეთ რაიონში, სადაც სახელმწიფო და კოოპერატიული მშენებლობა საკმაოდ განვითარებული არ არის, და მას მუშათა მოსახლეობის ბინების დაკმაყოფილება არ შეუძლიან.

3. ინდივიდუალური მშენებლობის წარმოება არ შეიძლება სამრეწველო საწარმოთა ტერიტორიაზე და აგრეთვე ტრანსპორტისათვის გადაცემულ მიწაზე.

4. მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ფინანსიურად მოგვარების ყოველწლიური გეგმა გათვალისწინებულ უნდა იქნეს მუშათა საბინაო მშენებლობის საერთო გეგმით, რომლის მიხედვითაც 1-ლ მუხლში აღნიშნული ყველა ფონდიდან გაიცემა კრედიტი მუშათა საბინაო მშენებლობისათვის.

5. უფლება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბინაო კოოპერაციის კავშირებს მიაწოდონ მუშათა ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას საჭირო საშენი მასალა.

6. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს:

ა) შეიტანოს, არსებული წესისამებრ, საბინაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირების წესდებაში ამა დადგენილების მე-5 მუხლიდან გამომდინარე ცვლილებანი და დამატებანი და

ბ) შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა მუშა-მოსამსახურეთა მიერ წარმოებული საბინაო მშენებლობის საშენი მასალით მომარაგების ღონისძიებათა შესახებ—ინდივიდუალური აღნაგობის მოთხოვნილების აღნუსხვით.

7. წინადადება მიცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს პროექტი დებულებისა ინდივიდუალურ მეაღნაგე მუშა-მოსამსახურეთათვის ადგილობრივი კომუნალური ბანკის კაპიტალიდან კრედიტის მიცემის წესისა და პირობების შესახებ.

8. დაევალოს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს დაადგინოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, მინიმალური ტეხნიკური და სანტარული ნორმები, რასაც უნდა შეეფერებოდეს მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა, რომელსაც კრედიტი ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებული წესით ეძლევა.

9. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაავალონ სათანადო სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებს და შრომის სახალხო კომისარიატებს, რათა მათ შეიმუშაონ, დაინტერესებულ უწყებათა და დაწესებულებათა მონაწილეობით, წესები მუშა-მოსამსახურეთა ინვალიდულური მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების მიკუთვნებისა და დაგეგმვის წესის შესახებ.

10. მუშათა ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას შეღავათი შენობათა ადგილობრივი გადასახადისა და რენტისა, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადის სფეროში მიეცემა სართო წესით, „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საცხოვრებელი შენობების ამგებ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა საგადასახადო შეღავათების შესახებ“ 1927 წლის იანვრის 14-ის თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად (სსრ კავშირის კან. კრებ. 1927 წ. № 5, მუხ. 46).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. აპრილის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 101 №-ში 1928 წ. მაისის 4-ს.

დადგენილება № 38 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

116. გრძელვადიანი კრედიტის სპეციალური კაპიტალის შესაქმნელად მოგებიდან გადასადები ანარიცხის შენახვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საწარმოთა ანგარიშებისა და ბალანსების განმხილველ და დამამტკიცებელ ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანურ საუწყებათაშორისო კომისიებს (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. № 4, მუხ. 411) ამიერიდან, ვიდრე გრძელვადიანი კრედიტის ბანკის დებულება დამტკიცდებოდეს,—იმ საწარმოთა მოგების განაწილების დროს, რომელთა ფინანსიურად მოგვარებას სამრეწველო ბანკის გრძელვადიანი კრედიტის განყოფილება არ ეწევა, დასტოვონ ხოლმე აღნიშნულ საწარმოთა ბალანსებზე მოგების ანარიცხი გრძელვადიანი კრედიტის დაწესებულებებში სპეციალური სახელმწიფო კაპიტალის შესაქმნელად (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 39, მუხ. 392, 46, ლიტ. „გ“).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წლის აპრილის 12. ტფილისი სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 101 №-ში 1928 წ. მაისის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

117. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დებულების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1928 წ. № 1, მუხ. 1) შესაცვლელად და დასამატებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს დებულების მე-10 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** სტატისტიკური საგეგმო კომისია მოეწყობა სტატისტიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა პერსონალური შერჩევის პრინციპზე: სტატისტიკური საგეგმო კომისიის პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო, ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის წარდგენით“.

2. მე-11 მუხლის „ა“ პუნქტიდან ამოიშალოს სიტყვა-„ძირითადი“.

3. მე-11 მუხლის პუნქტი „ბ“ მიღებულ იქნეს შემდეგი რადაქციით:

„ბ) დაამტკიცოს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა, საერთო-საამიერკავკასიო მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა და აგრეთვე საერთო-საკავშირო ორგანიზაციათა მიერ (უკეთუ მათი სტატისტიკური მუშაობა მარტოოდენ ა/კსფსრ ტერიტორიაზე ვრცელდება) სტატისტიკური მასალის შეკრეფისა და შემუშავების პროგრამები, ფორმულიარები და წესი“.

4. ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დებულების მე-11 მუხლს დაემატოს პუნქტები „ა[1]“, „გ[1]“ და „გ[2]“ შემდეგი შინაარსისა:

„ა[1]) წინასწარ განიხილოს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სტატისტიკურ სამუშაოთა გეგმები, პროგრამები და საორგანიზაციო გეგმები, რასაც საერთო-საკავშირო ორგანოები გადასცემენ დასკვნისათვის ა/კსფსრ მთავრობას ან ა/კსფსრ ცალკე სახალხო კომისარიატს და უწყებას“.

„გ[1]) თვალყური ადევნოს სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სტატისტიკური სამუშაოების დამტკიცებული საამიერკავკასიო გეგმის შესრულებას და აგრეთვე თვალყური ადევნოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სტატისტიკურ სამუშაოთა დამტკიცებული საერთო-საკავშირო გეგმის შესრულებას“.

„გ[2]) განიხილოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოებისა და სახალხო კომისარიატების და უწყებების საანგარიშო ცნობები სტატისტიკურ სამუშაოთა როგორც საამიერკავკასიო, ისე საერთო-საკავშირო გეგმების შესრულების შესახებ და მისცეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის თაობაზე დასკვნა,—თანაბრად, — ა/კსფსრ მთავრობის ორგანოებს ან სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან არსებულ სტატისტიკურ საგგმო მომისიას".

5. მე-11 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა** 1. სტატისტიკურ საგგმო კომისიაში „ა[1]", „ბ", „ბ" და „გ[2]" პუნქტით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დროს კომისიის სხდომაზე მიწვეულ უნდა იქნენ დაინტერესებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წარმომადგენელნი—კუთვნილებისამებრ".

6. მე-11 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა** 2. სტატისტიკურ სამუშაოთა ერთიანი გეგმები წარედგინება განსახილველად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და, ამ უკანასკნელის მიერ მიღებულ შემდეგ, ჩაითვლება საბოლოოდ დამტკიცებულად, უკეთუ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ან უწყებებთან შეუთანხმებლობა არ მოხდა, ხოლო უკეთუ შეუთანხმელობა,—წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **დ. ჭუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. აპრილის 11. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 101 №-ში 1928 წ. მაისის 4-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

11№. საზამთრო და საზაფხულო საძოვრების სარგებლობისათვის საჯარო სასყიდლის დაწესების შესახებ.

რათა ა/კსფსრ ტერიტორიაზე დაწესებულ იქნეს თანაბარი საჯარო სასყიდელი სახელმწიფოებრივი და აგდილობრივი მნიშვნელობის საზამთრო და საზაფხულო საძოვრების სარგებლობისათვის—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს ყველგან ა/კსფსრ ტერიტორიაზე მესაქონლეობის მიმდევარი გლეხებისათვის საზამთრო და საზაფხულო საძოვრების სარგებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაბარი საიჯარო სასყიდელი ჰექტარობით და კატეგორიებისდაგვარად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ყოველი წლისათვის განსაკუთრებულად დადგენილი რაოდენობით.

2. არსებული საიჯარო განაკვეთი 1927/28 წლისათვის გადიდებულ იქნეს 40%-ით.

შენიშვნა. სასაძოვრო მეურნეობის ძალღონის მიხედვით, არსებული განაკვეთი შეიძლება გადიდებულ იქნეს 50%-მდე.

3. იმ 40%-დან, რაც არსებულ განაკვეთს ემატება, 25% გადაეცეს ა/კსფსრ შედგენილებაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს საძოვრების მელიორაციისათვის.

4. დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ერთი თვის განმავლობაში გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

5. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის მაისის 21-ის დადგენილება: „საზაფხულო და საზამთრო საძოვარი ადგილების საიჯარო სასყიდლის ერთიანი განაკვეთის შესახებ ა/კსფსრ იმ მოსახლეობისათვის, რომელიც მესაქონლეობას ეწევა“ (ა/კსფსრ კან. კრებ. 1923 წ. № 8, მუხ. 117).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. აპრილის 30. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 103 №-ში 1928 წ. მაისის 6-ს.

დადგენილება № 36 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

119. 1926/27 წ. სამშენებლო სეზონის შედეგების შესახებ.

ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადგანაც გამოირკვა, რომ გასულ წელს ანგარიშები თავის დროზე არ იქნა შედგენილი, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს—დაავალონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს—სამრეწველო მშენებლობის დარგში და შრომის სახალხო კომისარიატებს—საბინაო მშენებლობის დარგში, აგრეთვე დანარჩენ სახალხო კომისარიატებსა და ორგანიზაციებს, რომელნიც სამშენებლო მუშაობას აწარმოებენ, წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუდგინონ ხოლმე საალმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს იანვრის 15-სათვის დაწვრილებითი ანგარიში სამშენებლო სეზონის შედეგების შესახებ, რომელ ანგარიშშიაც გაშუქებულ უნდა იქნეს მშენებლობის ძირითადი ელემენტები, როგორიც არის, მაგალითად: მშენებლობაში მოთავსებული კაპიტალის რაოდენობა, შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობა, მუშა-ძალითა და მასალით მომარაგების საქმის მდგომარეობა—მშენებლობის გაიაფების სფეროში არსებული მიღწევების აღნიშვნით.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს—დაავალონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს, რათა მათ გაუგზავნონ სათანადო რესპუბლიკის საალმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს სამშენებლო საანგარიშო ცნობებისა და ჯუმლების ასლი.—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1928 წლის თებერვლის 18-ის თარიღისა და 405 №-ის ბრძანებაში აღნიშნული მოთხოვნის თანახმად—არსებული საუწყებო წესებისა და ფორმის მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებსა და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებს—დაავალონ ყველა მშენებელ ორგანიზაციას, ცალკე მშენებლობას და თვითეული მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელს—შეიმუშაონ სამუშაოს გაიაფების კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა და აწარმოონ დასახული პროგრამის შესრულების აღნუსხვა.

4. რათა სამშენებლო სეზონი რაც შეიძლება სრულად იქნეს გამოყენებული არა საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური მუშა-ხელის პირობებში,—წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებს მიაქციონ მშენებელი ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას, რომ სამუშაოებზე რაციონალურად იქნეს განაწილებული არსებული კვალიფიციური მუშა-ძალა—შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით.

5. ტრანსპორტისა და მისაზიდი მასალის ხარჯის შემცირების მიზნით, წინადადება მიეცეს ყველა მშენებელ ორგანიზაციას და მშენებლობას ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი საშენი მასალა.

6. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებსა და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებს მიიღონ ღონისძიებანი, რათა დეფიციტიანი მასალის დახარჯვის საქმეში დაცულ იქნეს სათანადო ეკონომია.

შენიშვნა. დაევალოს ამიერკავკასიის საალმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს ცირკულიარული წესით მისცეს საინსტრუქციო განმარტებანი ამ საკითხის შესახებ ყველა ორგანოს, რომელიც ა/კსფსრ-ში სამშენებლო მუშაობას აწარმოებს.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს დაავალონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს, აღმასრულებელ კომიტეტებს და საშენი მასალის მწარმოებელ სხვა ორგანიზაციებს, რათა მათ იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიება საშენი მასალის ღირებულე-

ბის შესამცირებლად და საბოლოოდ მოსპონ ზოგიერთ ცალკე შემთხვევაში მეძ-ჩნეული ფასების გადიდების ტენდენცია.

8. რადგანაც ბაქოს რაიონში თავი იჩინა ქვის დეფიციტმა, მიეცეს სსრ აზერბაიჯანის უმაღლესი ეონომიური თათბირის ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა ყოველნაირად განვითარდეს საშენი ქვის დამუშავება შესაძლებელი მექანიზაციის გამოყენებით და ქვის ტრანსპორტის გაიაფებით.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს—დაავალონ ა/კსფსრ დიდი ქალაქების საბჭოებს ჭაპანზიდვის ტრანსპორტის საქმეში სათანადო ღონისძიებათა ხმარება, რათა გაიაფებულ იქნეს საშენი მასალის გადაზიდვა და განსაკუთრებით ადგილობრივ დამზადებული მასალისა, როგორიც არის, მაგალითად: ხრეში, ქვიშა, საყორე ქვა, ღორღი და სხვ..

10. რათა ამოკანებმა არ გადაჭარბოს ობიექტიურ შესაძლებლობას, წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებსა და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებს—დაავალონ ყველა მშენებელ ორგანიზაციას, რათა მან ახალი მშენებლობის გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინოს საშენი მასალისა და მუშა-ძალის ბაზრის მდგომარეობა და მშენებლობის პროგრამა განავითაროს იმისდამიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფილი იქნება იგი ამ მასალითა და მუშა-ძალით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **სოკოლოვსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1928 წ. მარტის 30.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 104 №-ში 1928 წ. მაისის 8-ს.

დადგენილება № 39 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

120. საკრედიტო გეგმების შედგენისა, განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საკრედიტო გეგმების გატარების წესის გასამარტივებლად და სსრ კავშირის სათანადო ორგანოებში თავის დროზე წარდგენის უზრუნველსაყოფად—დადგენილ იქნეს შემდეგი წესი საკვარტალო საკრედიტო გეგმების შედგენისა, განხილვისა და დამტკიცებისა:

1 ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა საკრედიტო დაწესებულება მიიღებს დირექტივებს საკვარტალო საკრედიტო გეგმის შედგენის შესახებ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგვიანეს დასაგეგმი კვარტალის წინა თვის 5-ის რიცხვისა. საერთო-საკავშირო ბანკის ფილიალი მიიღებს აღნიშნულ ვადაზე დირექტივს უშუალოდ თავისი გამგეობისაგან, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კომუნალური ბანკი—საბანკო საქმეთა რესპუბლიკანური თათბირისაგან ან, უკეთუ თათბირი არ არსებობს,—რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან.

2. მიღებული დირექტივების მიხედვით, საერთო-საკავშირო ბანკის რესპუბლიკანური ფილიალი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კომუნალური ბანკის გამგეობა შეადგენს საკვარტალო საკრედიტო გეგმას და, არა უგვიანეს დასაგეგმი კვარტალის წინა თვის 10-ის რიცხვისა, წარუდგენს მას საბანკო საქმეთა რესპუბლიკანურ თათბირს ან, უკეთუ თათბირი არ არსებობს,—რესპუბლიკანურ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

იმავე დროს საკრედიტო გეგმა საერთო-საკავშირო ბანკის ფილიალის მიერ წარედგინება სათანადო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას, ხოლო გეგმის შესაფერისი ნაწილები გაეგზავნება დაინტერესებულ უწყებებს (სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სხვ.)

3. საკრედიტო გეგმებს განიხილავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული საბანკო საქმეთა თათბირი, დაინტერესებული უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით, და, არაუგვიანეს დასაგეგმი კვარტალის წინა თვის 12-ის რიცხვისა, წარუდგენს ჯუმლის სახით დასამტკიცებლად რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირს.

შენიშვნა. უკეთუ საბანკო საქმეთა თათბირი არ არსებობს, ჯუმლობრივ საკრედიტო გეგმებს შეადგენს სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატი და წარუდგენს ეკონომიურ თათბირს.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირი განიხილავს და დამტკიცებს საკრედიტო გეგმას სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დასკვნის წარდგენისას და, არა უგვიანეს დასაგეგმი კვარტალის წინა თვის 15-ის რიცხვისა, წარუდგენს მას ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს. ამავე დროს, საბანკო საქმეთა რესპუბლიკანური თათბირი წარუდგენს დამტკიცებულ საკრედიტო გეგმას ამიერკავკასიის საბანკო საქმეთა თათბირს, ხოლო საერთო-საკავშირო ბანკის რესპუბლიკანური ფილიალი—სათანადო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას.

შენიშვნა. კომუნალური ბანკის მიმართ სათანადო ეკონომიური თათბირის დადგენილება საბოლოოა და ამ ბანკის გეგმა შეიძლება შეცვლილ იქნეს შემდეგ ინსტანციებში მხოლოდ სახელმწიფო ბანკის ლიმიტის შეცვლის წესისამებრ.

5. საერთო-საკავშირო ბანკის ამიერკავკასიის კონტორა შეადგენს ა/კსფსრ ჯუმლობრივ საკვარტალო საკრედიტო გეგმას არა უგვიანეს დასაგეგმი კვარტალის წინა თვის 18-ის რიცხვისა და გაუგზავნის ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საბანკო საქმეთა თათბირს, რომელიც განიხილავს საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედიტო გეგმებს დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით და ჯუმლობრივ საკრედიტო გეგმას წარუდგენს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს იმავე თვის 20-ის რიცხვისა.

6. ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო განიხილავს და დაამტკიცებს საკრედიტო გეგმას ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დასკვნის წარდგენისას და, არა უგვიანეს 22-ის რიცხვისა, გაჰგზავნის მას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში და შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

იმავე დროს, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ საკრედიტო გეგმას ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული საბანკო საქმეთა თათბირი წარუდგენს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საბანკო საქმეთა კომიტეტს, ხოლო საერთო-საკავშირო ბანკის ამიერკავკასიის კონტორა—თავის ცენტრალურ გამგეობას.

7. გეგმისა და დასკვნის მიღებლობა ამა თუ იმ ორგანოსაგან, რომელიც საკრედიტო გეგმის შედგენასა და განხილვაში მონაწილეობას იღებს, არ შეიძლება დადგენილი ვადების დარღვევის მიზეზად იქცეს.

8. საკვარტალო საკრედიტო გეგმა შეიცავს მოკლე ვადიანი და გრძელვადიანი კრედიტის ბანკების ყველა გეგმას და შედგენილ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის დარგებისა და სექტორების მიხედვით—საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური მეურნეობის დანაწილებით (ადგილობრივი მეურნეობის გამოყოფით).

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილების განსავითარებლად და დასამატებლად.

III. რათა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის საკრედიტო გეგმები შეთანხმებულ იქნეს ა/კსფსრ ჯუმლობრივ საკრედიტო გეგმასთან, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის საკრედიტო გეგმების შედგენისა და გატარების წესი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. აპრილის 19.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 107 №-ში 1928 წ. მაისის 11-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 40 ა/კსშსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

121. ა/კსფსრ-ში 1928-29 საშენაწერო წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1928 წლის აპრილის 21-ს დამტკიცებული დებულების („იზვესტია"-ს 94 №-ი 1928 წლის აპრილის 22-სა) მე-13 მუხლისა, 17 მუხლის შენიშვნისა, 19, 20, 21 და 23 მუხლისა, 25 მუხლის „ბ" პუნქტისა, 27 მუხლისა და მისი შენიშვნისა, 35, 36, 37 და 44 მუხლისა, 45 მუხლის შენიშვნისა, 61 მუალისა და მისი მეორე შენიშვნისა და 63 და 67 მუხლის თანახმად და განსაკუთრებულად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მემინდვრეობის შემოსავალი გამოიანგარიშება მეურნეობაში ფაქტიურად მიწის (ნაოესის) რაოდენობის მიხედვით. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება ეძლევათ,—ადგილობრივი პირობების მიხედვით ცალკე რაიონებში,—მემინდვრეობის შემოსავლიანობა გამოიანგარიშონ მთლად მეურნეობაში ქონებული სახნავი მიწის (ნახნავის) რაოდენობის მიხედვით.

2. დაუბეგრავ მინიმუმად, რომელსაც გადასახადი არ დაედება ბოსტნისა, ბაღჩისა და ხილის ბაღის სპეციალური ნორმების მიხედვით,—დაწესებულ იქნეს არა უმეტეს 60 კვად. საჟენისა ერთი მეურნეობისათვის.

3. გარდა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-19 მუხლში ჩამოთვლილი წყაროებისა,—გადასახადით დაიბეგროს, ამა დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნული ნორმების მიხედვით,—ბრინჯის პლანტაციის ნათესი, კარტოფილის ნათესი, მანდარინის პლანტაცია და ხელოვნური მებალეობის ნათესი.

4. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის შემოსავლიანობის შემდეგი საშუალო (მტკიცე) ნორმები:

რესპუბლიკები	დესეტინის შემოსავლიანობა მანეთობით.											
	ნახნავი	ნაოესი	სათიბი	ხილის ბაღი	ვენახი	ბოსტნები და ბაღჩა	თამბაქო	ბრინჯი	მანდარინის ბანაფენი	ხელოვნური მებალეობა	კარტოფილი	ბამბა
აზერბაიჯანი	30	45	18	180	220	150	175	150	—	80	150	22—50
სომხეთი	30	45	18	165	220	150	175	235	—	80	150	22—50
საქართველო { აღმოსავ.	30	45	18	190	220	150	175	150	350	80	150	22—50
საქართველო { დასავლ.							265					
საქართველო { აფხაზეთი												

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკები		ერთი სული ოთხფეხი საქონლის შემოსავლიანობა						ერთი ძირი სკის შემოსავ.	
		მსხვ. რქოს. საქონელ. ხბორის და ჯერდ. მერის გარდ	ხარი და კამეჩი	ცხენი, აქლემი და ჯორი	ვერი	ცხვარი და თხა	ღორი	ჩარჩოიანისა	ჭვინისა
აზერბაიჯანი		13—25	13	15	5	2—55	5	5	3
სომხეთი		13—25	13	15	5	2—55	5	5	3
საქართველო	აღმოსავ.	13—25	13	15	5	2—55	5	5	3
	დასავლ.	10—50	13	15	5	1—55	5	5	3

შენიშვნა. წეკოს სივრცე დაიბეგრება ნათესის ნორმების მიხედვით.

5. იჯარით აღებული მიწების შემოსავლიანობის ნორმების შემცირებას 10%-დან 20%-მდე დააწესებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა სბბჭოები.

6. დაიბეგრება შემოსავალი: ა) შინამრეწველობისა და ხელოსნობისა — 50%-ის რაოდენობით; ბ) სხვა არასამეწათმოქმედო სახის საშოვრისა — 70%-ის რაოდენობით; გ) არაშრომითი არასამეწათმოქმედო სახის საშოვრისა — 100%-ის რაოდენობით.

7. ღაწესებულ იქნეს მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე მარტოხელა მეურნეობისათვის, რომლის ყველა წყაროების შემოსავლიანობა 300 მან. აღემატება, პროცენტული ზედნართი ნორმის მიხედვით გამოანგარიშებულ სოფლის მეურნეობის შემოსავალზე — შემდეგი რაოდენობით:

მეურნ-თვის,	რომლის	საერთო	შემოსავ.	აღემატება	300	მან.	400 მანეთამდე	— 5%
„	„	„	„	„	400	„	500 „	— 7%
„	„	„	„	„	500	„	600 „	— 9%
„	„	„	„	„	600	„	700 „	— 12%
„	„	„	„	„	700	„	800 „	— 15%
„	„	„	„	„	800	„	900 „	— 18%
„	„	„	„	„	900	„	1000 „	— 21%
„	„	„	„	„	1000	„	„	— 25%

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ზედნართი არ გავრცელდება იმ მეურნეობაზე, რომლის დასაბეგრი შემოსავალი ერთ მკამელზე 50 მანეთს არ აღემატება.

8. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება ის მარტოხელა მეურნეობა, რომლის დასაბეგრი შემოსავლის თანხაც არ აღემატება: რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც მეურნეობაში ერთი და ორი მჭამელია—100 მანეთს, როდესაც სამი და ოთხი მჭამელია—120 მანეთს, და როდესაც ხუთი და მეტი მჭამელია—130 მანეთს.

9. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება ეძლევათ დააწესონ ცალკე რაიონებისათვის ფონდები, რათა გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნენ ის მცირე შეძლების მეურნეობანი, რომელთა შემოსავალიც აღემატება საგადასახადო მინიმუმს, ისე-კი, რომ ამ ფონდების საერთო თანხა თვითეული რესპუბლიკისათვის არ აღემატებოდეს სათანადო რესპუბლიკაში გამოანგარიშებული გადასახადის თანხის 2%-ს.

10. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 43 მუხლში ჩამოთვლილი მეურნეობებისა და მიწების შემოსავალიც გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდეს,—დააწესებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

11. განთავისუფლებულ იქნეს ყველგან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან ჩაის პლანტაციის სივრცე და თუთის ხის განაშენი და აგრეთვე მეაბრეშუმეობის შემოსავალი.

12. გადასახადის გადახდის უკიდურეს ვადებად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკისათვის დაწესებულ იქნეს: ა) პირველ ვადად—1928 წლის ოქტომბრის 1-ლი—გადასახადის საერთო თანხის 20%; ბ) მეორე ვადად—1928 წლის დეკემბრის 15-ი—50%; გ) მესამე ვადად—1929 წლის თებერვლის 1-ლი—30%.

შენიშვნა. აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება ეძლევა დააწესონ გადასახადის გადახდის უფრო მოკლე ვადები ნაკრობით მომუშავე მეურნეობათა ჯგუფებისათვის.

13. აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება ეძლევათ მოაწყონ სოფლის საანღუსხვო კომისიები, რომელშიაც შევლენ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, გლეხთა ურთიერთი დახმარების სოფლის ორგანიზაციის წარმომადგენელი და სოფლის ყრილობის მიერ არჩეული პირი.

აღნიშნულ კომისიებს დაეკისრება:

ა) სასოფლო სიების შედგენა და შემოსავლის წყაროებისა და მჭამელთა აღნუსხვა და

ბ) თვითეული მეურნეობისათვის არა სამიწათმოქმედო სახის საშოვრის რაოდენობის წინასწარი განსაზღვრა.

14. გადამხდელთა დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშება, გადასახადის განაკვეთის გამოანგარიშება და საშენაწერო ფურცლებისა და პირადი ანგარიშების შედგენა დაეკისრება სამაზრო საფინანსო განყოფილებას. გადასახადის მიღება, ზედმეტად გადანახადის დაბრუნება და გაბრა და აგრეთვე გადასახადის გადახდევინებისათვის საერთო ხელძღვანელობისა და მეთვალყურეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწევა დაეკისრება საუბნო-სათემო-სადაირო აღმასრულებელ კომიტეტებს და სამაზრო საფინანსო განყოფილებებს.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება ეძლევათ გადამხდელთა დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშება, გადასახადის განაკვეთის გამოანგარიშება და საშენაწერო ფუცლებისა და პირადი ანგარიშების შედგენა ცალკე რაიონებში დაკისრონ საუბნო-სათემო-სადაირო აღმასრულებელ კომიტეტებს.

15. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან მოეწყობა რესპუბლიკანური საგადასახადო კომისიები—აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ განსაზღვრული შედგენილობით.

რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიას დაეკისრება გადასწყვიტოს, სათანადო შემთხვევაში, ქვემდგომი საგადასახადო კომისიის დადგენილების გამო აღძრული საჩივარი და აგრეთვე წინასწარ განიხილოს საკითხი:

ა) სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ქალაქის დასახელებულ ადგილთა ან ცალკე პირთა კატეგორიების სიების დაწესების შესახებ;

ბ) ერთიანი სასოფლო-სამეუნეო გადასახადის დებულების მე-10 მუხლის წესისამებრ არასამეწარმოქმედო სახის საშოვრის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლების შესახებ;

გ) ცალკე წყაროების შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;

დ) ოჯარით აღებული მიწის შემოსავლიანობის ნორმისათვის მონაკლების პროცენტის დაწესების შესახებ;

ე) მცირე შეძლების მეურნეობათა გასანთავისუფლებლად ფონდების განაწილების შესახებ;

ვ) გადასახადის გადახდის ვადების დადგენის შესახებ;

ზ) გადასახადისაგან გასანთავისუფლებელი მეურნეობებისა და მიწების სიების დაწესების შესახებ.

16. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა საგადასახადო კომისიები, სადაც შევლენ: ა) თავმჯდომარე, რომელსაც სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს; ბ) თითო წარმომადგენელი მაზრის საფინანსო საადგილ-მამულო და სტატისტიკურ ორგანოებისა და პროფესიონალური ორგანიზაციებისა; გ) წარმომადგენელი გლეხთა ურთიერთი დამხმარე საზოგადობის სათანადო ორგანოსი ან მისი თანაბარი ორგანიზაციისა.

სამაზრო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) წინასწარ დააწესოს შემოსავლიანობის ნორმები უბნებისა, თემებისა, დაირებისა და სოფლებისათვის;

ბ) გადასწყვიტოს სათანადო შემთხვევაში გადამხდელთა საჩივარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. საუბნო-სათემო-სადაირო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა საგადასახადო კომისიები შემდეგი შედგენილობით: ა) თავმჯდომარე—საუბნო-სათემო სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე; ბ) თითო წარმომადგენელი საუბნო-სათემო-სადაირო საფინანსო და საადგილ-მამულო ორგანოებისა და პროფესიონალური ორგანიზაციებისა; გ) ორი გლეხი, რომელთაგან ერთს დანიშნავს გლეხთა ურთიერთი დახმარების საუბნო-სათემო-სადაირო კომიტეტი, ხოლო მეორეს აარჩევს სოფლის ყრილობა სათანადო სოფლის საქმეთა განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

შენიშვნა. სოფლის ყრილობის მიერ კომისიაში არჩეულ გლეხ-წევრს ეძლევა კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის გასამრჯელო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარიდან იმ რაოდენობით, რასაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო დაწესებს.

საუბნო-სათემო-სადაირო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) გადასწყვიტოს საკითხი ღარიბი მეურნეობის არასამწათმოქმედო სახის საშოვრის გადასახადით არდაბეგვრის შესახებ—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტის წესისამებრ;

ბ) დააწესოს გადამხდელთა არასამწათმოქმედო სახის საშოვრის რაოდენობა;

გ) განსაზღვროს შეძლებულ მეურნეობათა დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 28 მუხლის წესისამებრ;

დ) გადასწყვიტოს საკითხი იმ მეურნეობის გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომლის შემოსავლის რაოდენობაც დასაბეგრ მინიმუმზე ნაკლებია—ერთიანი სასოფლო-სამეუნეო გადასახადის დებულების 35 მუხლის წესისამებრ;

ე) გაანთავისუფლოს გადასახადისაგან მცირე შეძლების მეურნეობა ფონდის ხარჯით;

ვ) გაანთავისუფლოს გადასახადისაგან, სრულად ან ნაწილობრივ, ის მეურნეობა, რომელიც სტიქიური უბედურების გამო დაზარალდა;

ზ) განიხილოს და გადასწყვიტოს გადამხდელთა მიერ (საბჭოთა მეურნეობის გარდა) შემოსავლის წყაროობის არასწორი აღრიცხვისა და შემოსავლისა და (ამა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული შემოსავლის გარდა) თანხისა და გადასახადის განაკვეთის არასწორი გამოანგარიშების შესახებ აღძრული საჩივრები.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება ეძლევათ იმ ქალაქ ადგილას, სადაც, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-4 მუხლის წესისამებრ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა განხორციელდება,—მოაწყონ ქალაქის საბჭოსთან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საგადასახადო კომისია საუბნო-სათემო-სადაირო საგადასახადო კომისიებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინიჭებული უფლებებით. ამ კომისიის შედგენილობაში შეელენ ა) თავმჯდომარე—ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე; ბ) თითო წარმომადგენელი ქალაქის საფინანსო და საადგილ-მამულო ორგანობისა და პროფესიონალური ორგანიზაციისა; გ) ერთი გადამხდელთა წარმომადგენელი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართ. **სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. მაისის 10.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 108 №-ში 1928 წლის მაისის 12-ს.

დადგენილება № 41 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

122. ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საარბიტრაჟო კომისიებში საქმეთა წარმოების წესების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემოაღნიშნული წესები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდ. მოადგ. **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართვ. **სოკოლოვსკი**

ტფილისი—სასახლე. 1928 წ. აპრილის 26.

წ ე ს ე ბ ი

ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საარბიტრაჟო კომისიებში საქმეთა წარმოებისა.

I. ზოგადი დებულებანი.

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი საარბიტრაჟო კომისიები თავის ქვემდებარე საქმეებს გადასწყვეტენ სასამართლო და განმკარგულებელ სხდომებში, ხოლო ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია, მისი დებულების 15 და 16 მუხლის მიხედვით—პლენარულ სხდომებშიაც.

2. საარბიტრაჟო კომისიის სასამართლო და განმკარგულებელი სხდომა მოეწყობა თავმჯდომარისა და ორი წევრის შედგენილობით.

3. სასამართლო სხდომაში გადაწყდება, მხარეთა დაბარებით, სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ქონებრივი დავა არსებითად, ამ დავას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან დაკავშირებული კერძო საკითხები სასამართლო წარმოებისა და აგრეთვე გამოტანილ გადაწყვეტილებათა შევსებისა, განმარტებისა და აღსრულების საკითხები.

ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის სასამართლო სხდომაში, ამის გარდა, გადაწყდება ის საქმე, რომელიც მან უნდა განიხილოს საკასაციო-სარევიზიო წესისამებრ.

სასამართლო სხდომაში საქმის განხილვა საჯაროდ სწარმოებს. საარბიტრაჟო კომისიას უფლება აქვს, პატივსადები მიზეზის გამო, დაადგინოს საქმის კარდხამულ სხდომაში განხილვა.

4. საარბიტრაჟო კომისიის განმკარგულებელ სხდომაში გაირჩევა სასამართლო წარმოების კერძო საკითხები, უკეთუ მათი განხილვისათვის მხარეთა დაბარება საჭირო არ არის. განმკარგულებელ სხდომაში გადაწყვეტილი კერძო საკითხი, უკეთუ ერთ-ერთი მხარე განაცხადებს ორი კვირის ვადაზე დღიდან განმკარგულებელი სხდომის გადაწყვეტილების გამოცხადებისა, განიხილება სასამართლო სხდომაში.

5. კომისიის თავჯდომარის ერთპიროვანი განკარგულებით სწარმოებს: საარბიტრაჟო კომისიის სხდომაში საქმის განსახილველად დანიშვნა; მხარეთაგან სასამართლო ბაჟისა და გამოსაღების მოთხოვნა, როდესაც სარჩელის ფასზე დავა არ არის; სარჩელის უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ვერ გადაიდება; მოწმობის მიცემა იმ სახელმწიფო დაწესებულებისა, სახელმწიფო საწარმოს და კერძო პირისაგან დოკუმენტების მისაღებად, რომელიც საქმეში მონაწილეობას არ იღებს; გადასწყვეტად საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების მოთხოვნა და სხვ.

6. სასამართლო წარმოების საკითხები, რაც ამა წესებით გათვალისწინებული არ არის, საარბიტრაჟო კომისიის მიერ გადაწყდება მოკავშირე რესპუბლიკებისა და ა/კსფსრ შედგენილებაში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

II. საქმეთა წარმოება.

7. საარბიტრაჟო კომისია მიიღებს საქმეს განსახილველად იმ მხარის წერილობითი განცხადებით, რომელიც თავის უფლებას დარღვეულად სთვლის, ან და იმ ორგანოს წინადადებით, რომელთანაც საარბიტრაჟო კომისია არსებობს.

8. საქმის წარმოების დროს საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან დაადგინოს, რომ საქმეში ჩარეულ იქნეს სათანადო მოსარჩელე და მოპასუხე საქმის წინანდელ მონაწილეთა ნაცვლად, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ შესცვალონ სარჩელის საფუძველი და ოდენობა.

9. მხარეთა წარმომადგენლობა საარბიტრაჟო კომისიაში დაეკისრება დაწესებულების უფროსს და საწარმოს ხელმძღვანელს, მათ პასუხისმგებელ თანამშრომელს, იურისკონსულტს, დამცველთა კოლეგიის წევრს და აგრეთვე სხვა პირს, ვისაც საარბიტრაჟო კომისია ამა თუ იმ საქმეში წარმომადგენლად მიუშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარბიტრაჟო კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ დაწესებულების თუ საწარმოს ხელმძღვანელი ან ის პირი, ვინც პასუხისმგებელია დაწესებულებისა და საწარმოს მოქმედების იმ დარგისათვის, რაც დავის საგანთან არის დაკავშირებული, პირადად გამოცხადდეს.

10. დაწესებულებისა და საწარმოს წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს სათანადო უფლებამოსილობა ან რწმუნებულობა საქმის წარმოებისათვის.

დაწესებულებისა თუ საწარმოს წარმომადგენლის უფლებამოსილობა, უკეთუ ეს წარმომადგენელი დაწესებულების თანამშრომელია და უკეთუ აღნიშნული დაწესებულება და საწარმო სარეწაო გადასახადისაგან განთავისუფლებულია, წერილობითი ფორმისა უნდა იყოს; ამასთანავე მას ხელს უნდა აწერდეს დაწესებულების უფროსი ან საწარმოს ხელმძღვანელი და დასმული უნდა ჰქონდეს სათანადო ბეჭედი.

დანარჩენ შემთხვევაში წარმომადგენელთა უფლებამოსილობა გამოსახული უნდა იყოს ნოტარიალური წესით შემოწმებული რწმუნებულობით.

11. დაწესებულებისა და საწარმოს წარმომადგენლის უფლებათა ვრცლად ჩამოთვლა უფლებამოსილობაში და რწმუნებულებაში საჭირო არ არის.

საქმის წარმოებისათვის უფლებამოსილობის ან რწმუნებულობის მქონე წარმომადგენელს აქვს სრული უფლება საქმის მონაწილე მხარისა, სხვათა შორის, უფლება—უარი სთქვას მოთხოვნაზე და აღიაროს მოწინააღმდეგე მხარის უფლება.

12. სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს: ა) სრული და სწორე სახელწოდება იმ სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საწარმოსი, რომელიც სარჩელს აღძრავს და იმ დაწესებულებისა თუ საწარმოსი, რომელსაც მოსარჩელე თავის მოთხოვნას წარუდგენს; ბ) მოსარჩელისა და მოპასუხის მისამართი; გ) სარჩელის ღირებულება; საქმის გარემოებათა მოკლე აღწერა და ე) სისწორით ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა.

13. სასარჩელო განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს დედანი ან სათანადო წესით შემოწმებული ასლი ყველა დოკუმენტისა, რითაც სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებულია და აგრეთვე მხარეთა მიერ შემოწმებული ასლები განცხადებისა და მათი დანართებისა მოპასუხეთა და მესამე პირთა რიცხვის მიხედვით.

14. სასარჩელო განცხადებისათვის გადახდილ უნდა იქნეს დადგენილი სასამართლო ბაჟი და სხვა გამოსაღები. უკეთუ საქმე იმ ორგანოს წინადადებით აღიძვრის, რომელთანაც საარბიტრაჟო კომისია არსებობს, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს—ვის და რა რაოდენობით უნდა გადაიხდეს სასამართლოთო ბაჟი.

15. უკეთუ სასარჩელო განცხადება და მისი დანართები შეტანილ იქნა ამა წესების 12-14 მუხლების დარღვევით, თავმჯდომარე დანიშნავს ვადას აღმოჩენილი ნაკლის გასასწორებლად. უკეთუ სასარჩელო განცხადებისა და მისი დანართების ნაკლი დანიშნულ ვადაზე გასწორებულ არ იქნა, სასარჩელო განცხადება შეტანილად არ ჩაითვლება.

16. სასამართლო სხდომაში საქმის განხილვისათვის დაბარებულ უნდა იქნენ მხარენი. საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან მხარეთა გამოცხადება სავალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულოდ აღიაროს. მხარეთა გამოუცხადებლობა საქმის განხილვას ვერ შეაჩერებს.

17. სასამართლო სხდომაში მხარისა, მოწმისა, ექსპერტისა და სხვა პირის დაბარება სწარმოებს უწყებისა, სასამართლო და დაზღვეული წერილისა, დეპეშისა და ტელეფონგრამის მეშვეობით ან და მხარისათვის პირადათ გამოცხადებით სასამართლო სხდომაში ან საარბიტრაჟო კომისიის კანცელარიაში, რაზედაც მას ხელწერილი უნდა ჩამოერთვას.

უწყება შედგენილ იქნება ორ ცალად: მე-2 ცალზე უნდა იყოს ხელმონაწერი უწყების მიმღებისა.

უწყება და შეტყობინება გაეგზავნება უშუალოდ დაბარებულ დაწესებულებასა თუ საწარმოს და უნდა ჩაბარდეს ამ უკანასკნელთა რეგისტრატურას.

უკეთუ მხარე განაცხადებს, უწყება შეიძლება იმავე დროს მის წარმომადგენელსაც გაეგზავნოს.

მოწმისა, ექსპერტისა და სხვა პირის დაბარების დროს უწყება უნდა ჩაბარდეს პირადათ დაბარებულს, ხოლო უკეთუ ეს უკანასკნელი შინ არ არის,— მისი ოჯახის რომელსამე წევრს ან სახლის სამოურაოს.

18. სასარჩელო განცხადებისა და მისი დანართების ასლი გაეგზავნება მოპასუხეს. უკანასკნელი ვალდებულია, ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ასლის მიღებისა, წარადგინოს, ამა წესების მე-2 მუხლის დაცვით, წერილობითი აზრი და ყველა დოკუმენტი, რაც მისი (მოპასუხის) განმარტებების დამადასტურებელია.

19. უწყებული საქმის გამო პირველი სასამართლო სხდომის გახსნამდე, მოპასუხეს უფლება აქვს წარადგინოს შესაგებელი სარჩელი ამა წესების 12-14 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძველის შეცვლისა, ან სასარჩელო მოთხოვნათა გადიდებისა, ან და მხარეთა შეცვლის დროს, და აგრეთვე სხვა პატივსადებ გარემოებათა გამო, საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან განსაკუთრებული დადგენილებით ნება დართოს შესაგებელი სარჩელის წარდგენა აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

20. შესაგებელი სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ ურთიერთ მოთხოვნათა ჩათვლის შესაძლებლობის დროს.

21. მხარეებს შეუძლიანთ საქმის დამთავრებამდე განაცხადონ, რომ ისინი მორიგებით შეთანხმდნენ; საარბიტრაჟო კომისია დაამტკიცებს აღნიშნულ შეთანხმებას, უკეთუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონს და სამეურნეო მიზანშეწონილობას. საარბიტრაჟო კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს, რათა გარიგება დადასტურებულ იქნეს მოდავე დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელების მიერ.

22. საქმის ყოველ მდგომარეობაში შეიძლება სარჩელი უზრუნველყოფილ იქნეს.

საკითხი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყდება საარბიტრაჟო კომისიის განმკარგულებელ ან სასამართლო სხდომაში, ხოლო როცა ისეთი შემთხვევაა, რომ გადადება შეუძლებელია,—გადაწყდება საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარის განკარგულებით. როდესაც სარჩელის უზრუნველყოფა თავმჯდომარის განკარგულებით მოხდება, იგი მოახსენებს ამას სასამართლოს სხდომას.

23. უკეთუ სასამართლო ან განმკარგულებელ სხდომაში საქმის განხილვის დროს აღმოჩნდება, რომ საკრებულოს ერთ-ერთი წევრი საქმეში მონაწილე დაწესებულების თუ საწარმოს ხელმძღვანელია, —იგი ჩამოცილებულ უნდა იქნეს საქმეში მონაწილეობისაგან.

24. საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან დაადგინოს, რომ რამდენიმე საქმე განხილულ იქნეს ერთად-ერთ წარმოებად, უკეთუ აღნიშნულ საქმეებში მხარეებად ერთი და იგივე დაწესებულებანი თუ საწარმონი არიან.

უკეთუ სასარჩელო განცხადებაში რამდენიმე მოთხოვნაა შეერთებული, საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან დაადგინოს, რომ ეს მოთხოვნები განხილულ იქნეს ცალ-ცალკე წარმოებად.

უკანასკნელი პირობა შეიძლება შეეფარდოს შესაგებელ სარჩელსაც, უკეთუ საარბიტრაჟო კომისია სცნობს, რომ ამ სარჩელის განცხადება პროცესის დაყოვნებას იწვევს.

25· უკეთუ ის საქმე, რომელიც წარმოებაშია, არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს მანამდე, ვიდრე არ გადაწყდება სასამართლო წესით განსახილველი მერე საქმე, —საარბიტრაჟო კომისია ცალკე დასაბუთებული დადგენილებით შეაჩერებს საქმის წარმოებას მეორე საქმის გადაწყვეტამდე.

26. ცილობა საქმის ქვემდებარეობის შესახებ საარბიტრაჟო კომისიებს შორის არ შეიძლება.

27. საქმეში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე მონაწილეობისათვისშ ეიძლება ჩარეულ იქნეს მესამე პირი, რომლისთვისაც საქმის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება წარმოშვას უფლება ან ვალდებულება ერთ-ერთი მხარის მიმართ.

მესამე პირი, რომელსაც სადავო საგანზე დამოუკიდებელი უფლება აქვს, შედის საქმეში სარჩელის წარდგენით, საერთო საფუძველზე, ერთ-ერთი მოდავე მხარეის წინააღმდეგ ან ორივეს წინააღმდეგ ერთად.

28. გარდა მესამე პირებისა, საქმეში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს დამხმარემ, რომლისთვისაც გადაწყვეტილება საქმის შესახებ არ წარმოშობს არავითარ უფლებასა და ვალდებულებას მოდავე მხარეთა მიმართ, ხოლო რომელსაც შეუძლიან გაუადვილოს ამ უკანასკნელთ თავიანთი ინტერესების დაცვა.

ასეთ დამხმარეთ მიეკუთვნებიან: სახალხო კომისარიატები, ცენტრალური დაწესებულებები და აღმასრულებელი კოიიტეტები, რომელთა გამგებლობაშიაც იმყოფებიან საქმეში მონაწილე მხარენი, სათანადო პროფესიონალური კავშირები და სხვ.

29. დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა დაეკისრება მოდავე მხარეთ, რომელნიც ურთიერთ დახმარებას უნდა ეწეოდენ საქმის სადავო გარემოებათა გამოაარკვევად და მის სასწრაფო გადასაწყვეტად.

საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან არ დაკმაყოფილდეს მხარეთა მიერ წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთებით და, საჭიროების დროს, შეჰკრიფოს ეს საბუთები თავისი ინიციატივით.

30. ამა თუ იმ დამამტკიცებელი საბუთისა და შემამოწმებელი მოქმედების (მოწმეთა გამოკითხვა, ექსპერტიზა, გასინჯვა ადგილობრივ და სხვ.) ხმარება დამოკიდებულია იმაზე—სცნობს თუ არა საარბიტრაჟო კომისია, რომ მას საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

დამამტკიცებელი საბუთის შემოწმებისა და შეფასების წესი საარბიტრაჟო კომისიის შეხედულებაზეა დამოკიდებული.

31. შემამოწმებელი მოქმედება შეიძლება შესრულებულ იქნეს საარბიტრაჟო კომისიის წევრთა მიერ—საარბიტრაჟო კომისიის დანიშვნით, და აგრეთვე სხვა საარბიტრაჟო კომისიის ან იმ ადგილის სახალხო სასამართლოს მეშვეობით, სადაც აღნიშნული მოქმედება უნდა შესრულდეს.

შემამოწმებელი მოქმედების შესრულებისათვის დაბარებულ უნდა იქნენ მხარენი.

32. თავმჯდომარე ხელმძღვანელობას გაუწევს სხდომას და მიიღებს ყოველგვარ ღონისძიებას, რაც საჭიროა სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვისათვის. თავმჯდომარის განკარგულება სავალდებულოა სხდომის დარბაზში მყოფ ყველა პირისათვის.

33. სხდომის ოქმში შეიტანება მხარეთა ახსნა-განმარტება, რასაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, და აღინიშნება ცალკე საპროცესო მოქმედებანი. სხდომის ოქმს ხელს მოაწერენ თავმჯდომარე და მდივანი. მხარეებს უფლება აქვთ სამი დღის განმავლობაში წარადგინონ თავისი შენიშვნა ოქმის შესახებ.

34. თვითეულ მხარეს უფლება აქვს წარუდგინოს საარბიტრაჟო კომისიას რეზოლიუციის პროექტი საქმის შესახებ.

35. გადაწყვეტილება საქმის შესახებ მიიღება ხმის უმეტესობით. საარბიტრაჟო კომისის წევრს, რომელიც გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, უფლება აქვს განაცხადოს თავისი განსაკუთრებული აზრი, რაც საქმეს დაერთვის.

რეზოლიუცია გამოცხადდება იმავე სხდომაში, რომელშიაც საქმის განხილვა დამთავრდა. საქმის სირთულის გამო რეზოლიუციის გამოცხადება შეიძლება გადადებულ იქნეს ვადით არა უმეტეს 7 დღისა.

გადაწყვეტილება იმ საქმის შესახებ, რომელიც არ განისაჩივრება, ძალაში შედის დღიდან რეზოლიუციის მიღებისა; გადაწყვეტილება განსასაჩივრებელი საქმის შესახებ ძალაში შედის საჩივრის წარსადგენად დადგენილი ვადის გასვლისას (მუხ. 39), ხოლო, უკეთუ საჩივარი შეტანილია—მისი უშედეგოდ დატოვებისას.

36. დასაბუთებული გადაწყვეტილება დაერთვის საქმეს შვიდი დღის განმავლობაში რეზოლიუციის გამოცხადების დღიდან. მასში აღნიშნული უნდა იყოს წელიწადი, თვე და რიცხვი სასამართლო სხდომისა და რეზოლიუციის გამოტანისა, სასამართლოს სკრებულოს შედგენილობა და აგრეთვე სრული და სწორე სახელწოდება მოდავე მხარეებისა; აგრეთვე უნდა აღინიშნოს მოკლედ საქმის გარემოებანი, საარბიტრაჟო კომისიის იურიდიული და სამეურნეო მოსაზრებანი, რაც გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედვა და ზედმიწევნითი რეზოლიუცია საქმის შესახებ, რაც გამოტანილ იქნა სასამართლო სხდომაზე.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებას ხელს მოაწერენ თავმჯდომარე და წევრები; გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნება მხარეებს.

37. ორი კვირის გამნავლობაში რეზოლიუციის გამოტანის დღიდან მხარეებს შეუძლიანთ სთხოვონ საარბიტრაჟო კომისიას გადაწყვეტილების შევსება, უკეთუ ესა თუ ის სასარჩელო მოთხოვნა გადაწყვეტილი არ არის.

საკითხი გადაწყვეტილების შევსების შესახებ განიხილება სასამართლო სხდომაში მხარეთა დასწრებით; ამასთანავე, მხარეთა ახსნა-განმარტება შეიძლება მხოლოდ საქმის ისეთი გარემოების გამო, რასაც უშუალო კავშირი აქვს მხარეთა დავის იმ ნაწილთან, რომელსაც გადაწყვეტილება არ შეეხებია.

38. გადაწყვეტილების განმარტება მხარეთა განცხადებით და იმ აშკარა შეცდომების გასწორება, რაც გადაწყვეტილების დედა-აზრს არა სცვლის, სწარმოებს სასამართლო სხდომაში. მიღებული შესწორება აღინიშნება გადაწყვეტილების დედანში და ასლებში.

39. საჩივარი საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებაზე შეიტანება საარბიტრაჟო კომისიაშივე, რომელმაც გადაწყვეტილება დაადგინა, ორი კვირის განმავლობაში დღიდან მხარეებისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემისა. საარბიტრაჟო კომისია შვიდი დღის განმავლობაში გაუგზავნის საჩივარს ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას მთლად საქმის წარმოებითურთ. მოწინააღმდეგე მხარეს საარბიტრაჟო კომისია გაუგზავნის საჩივრისა და ყველა მისი დანართის ასლს.

ფოსტით გაგზავნილი საჩივარი წარდგენილად ჩაითვლება მისი ფოსტაში ჩაბარების დღიდან.

საჩივრისათვის გადახდილ უნდა იქნეს სასამართლო ბაჟი.

40. მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტება საჩივრის შესახებ გაეგზავნება უშუალოდ ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას შვიდი დღის განმავლობაში საჩივრის ასლის ჩაბარების დღიდან.

41. კომისიას, რომელმაც დაადგინა ისეთი გადაწყვეტილება, რის განსაჩივრებაც შეიძლება, შეუძლიან მოსარჩელეს განცხადებით დაადგინოს, რომ გადაწყვეტილება წინასწარ შესრულებული იქნეს.

42. საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილების გამო—სარჩელის უზრუნველყოფისა, მოსარჩელის შეცვლისა, გადაწყვეტილების წინასწარ შესრულებისა, გადაწყვეტილების შესრულების წესისა და საშუალებისა, სასარჩელო განცხადებისა და საჩივრის მიღებაზე უარის თქმისა და საჩივრის შეტანისათვის ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე საქმის წარმოების დაყოვნების გამო—შეიძლება შეტანილ იქნეს კერძო საჩივარი.

43. საჩივარი წარმოების დაყოვნებისა და სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარის თქმის გამო შეიტანება უშუალოდ ა/კავშირ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებში, დანარჩენი საჩივრები—გადაწყვეტილების დამდგენელ საარბიტრაჟო კომისიაში.

წარმოების დაყოვნების გამო საჩივრის შეტანისათვის ვადა არ დაწესდება; დანარჩენი საჩივრები შეიტანება შვიდი დღის განმავლობაში კერძო გადაწყვეტილების დადგენის დღიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

44. კერძო საჩივარი სათანადო დანართებით სამი დღის განმავლობაში გაეგზავნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თითბირებს. კერძო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს საარბიტრაჟო კომისიაში საქმის წარმოებას.

45. საარბიტრაჟო კომისიებისა და ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გადასინჯულ იქნეს საარბიტრაჟო კომისიის საამისო ცალკე დადგენილებით, უკეთუ აღმოჩნდება ისეთი ახალი, საქმისათვის არსებითი, გარემოება, რის ცოდნაც მხარეს გადაწყვეტილების გამოტანამდე არ შეეძლო.

46. განცხადება გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შეიტანება იმ საარბიტრაჟო კომისიაში, რომელმაც გადასასინჯავი გადაწყვეტილება გამოიტანა.

47. განცხადება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განიხილება საარბიტრაჟო კომისიის სასამართლო სხდომაში.

ის საქმე, რომლის გამოც საარბიტრაჟო კომისია სცნობს, რომ იგი გადასინჯულ უნდა იქნეს, განიხილება ხელახლა საერთო წესით საარბიტრაჟო კომისიებში საქმეთა წარმოების შესახებ

III. გადაწყვეტილებათა აღსრულება.

48. საარბიტრაჟო კომისიის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას და აგრეთვე იმ გადაწყვეტილებას, რომლის შესახებ დადგენილია წინასწარი აღსრულება, აქვს სასამართლო გადაწყვეტილების ძალა და იგი სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი თვით მხარეთა მიერ. უკეთუ გადაწყვეტილება აღსრულებულ არ იქნა საარბიტრაჟო კომისიის მიერ დადგენილ ვადაზე, უკანასკნელს შეუძლიან აღძრას ბრალდება თანამდებობის პირთა წინააღმდეგ დისციპლინარული ან სისხლის სამართლის წესით; ამასთანავე, გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანება სასამართლოს აღმასრულებელის მიერ.

49. ნებაყოფლობით აღსრულებაზე უარისთქმის დროს, იმ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც გამოტანილია გადაწყვეტილება (გადამხდევინებელს),— შეუძლიან სთხოვოს გადაწყვეტილების დამდგენელ საარბიტრაჟო კომისიას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულებისა და აღსრულების ფურცლის მიცემის შესახებ.

50. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების საკითხის შესახებ საქმის განხილვის დროს საარბიტრაჟო კომისია, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, წინადადებას მისცემს მოვალეს—წარადგინოს, კომისიის მიერ დადგენილ ვადაზე, ცნობა იმ ქონების შესახებ, რომელზედაც შეიძლება გადახდევინება მიიქცეს.

მოვალის მიერ ქონების შესახებ ცნობის მიცემისაგან თავის არიდება ან წინასწარი შეცნობით ტყუელი ცნობის მიცემა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის ან დისციპლინარული წესით.

51. საარბიტრაჟო კომისიას უფლება აქვს აირჩიოს ერთ-ერთი ქვემოაღნიშნული საშუალება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულებისათვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გადასცეს გადამხდევინებელს ნატურად ის ქონება, რომელიც დავის საგანი იყო და რომელიც გადამხდევინებელს გადაეწყვიტა.

ბ) გადასცეს გადამხდევინებელს აქციები და პაები, რაც მოვალეს ეკუთვნის სხვა სახელმწიფო საწარმოში მონაწილეობის მიხედვით,—ამ უკანასკნელის წესდების თანახმად;

გ) მიაქციოს გადახდევინება იმ თანხაზე, რაც მოვალეს მესამე პირთაგან ერგება, და აგრეთვე იმ თანხაზე, რაც საკრედიტო დაწესებულებებში მოვალის მიმდინარე ანგარიშზეა;

დ) შეჰკრას მოვალის ფულადი შემოსავალი და აგრეთვე საწარმოს პროდუქცია მთლად ან ნაწილობრივ, ამ პროდუქციის რეალიზაციით გადამხდევინებელის სასარგებლოდ—საარბიტრაჟო კომისიის მიერ აღნიშნული წესისამებრ;

ე) შეჰკრას და აღწეროს მოვალის ქონება და დანიშნოს იგი გასაყიდად საარბიტრაჟო კომისიის მიერ დასახელებული სახელმწიფო საწარმოს მეშვეობით საკომისიო საფუძველზე, ან სასაქონლო ბირჟაზე, ან სხვა, საარბიტრაჟო კომისიის მიერ განსაზღვრული წესისამებრ, ან და საჯარო ვაჭრობით.

იმ სახელმწიფო საწარმოს, რომელსაც საარბიტრაჟო კომისიის დადგენილებით დაევალება—გაჰყიდოს მოვალის ქონება საკომისიო საფუძველზე, უფლება არა აქვს თავი აარიდოს ამ დავალების შესრულებას, უკეთუ წარმოებითი ან სავაჭრო ოპერაციები მისი მოქმედების ფარგალში შედის.

52. იძულებითი გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს: ა) სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს იმ ქონებაზე, რაც კანონის ძალით გასხვისებულ არ შეიძლება იყოს; ბ) სახელმწიფო დაწესებულების იმ ინვენტარზე, რაც მისი წესიერი მოქმედებისათვის აუცილებელია; გ) იმ თანხაზე, რაც საჭიროა მუშა-მოსამსახურეთათვის მიმდინარე და წინდაწინ ორი კვირის სამუშაო ხელფასის მისაცემად და დ) იმ თანხაზე, რაც საჭიროა სოციალური დაზღვევის გადასახადის გასასტუმრებლად.

53. აღსრულების ფურცელში უნდა აღინიშნოს: ა) შედგენილობა საარბიტრაჟო კომისიისა—რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა; ბ) სახელწოდება საქმისა, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება შესდგა; გ) სარეზოლუციო ნაწილი გამოტანილი გადაწყვეტილებისა; დ) საშუალება გადაწყვეტილების აღსრულებისა და ის ქონება, რომელზედაც გადახდევინება უნდა მიიქცეს და ე) ბრძანება საარბიტრაჟო კომისიისა დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მიმართ—გადამხდევინებლისათვის აღსრულებითი მოქმედების შესრულებაში დახმარების გაწევის შესახებ.

54. გადახდევინებას აღსრულების ფურცლით, გადამხდევინებელის განცხადებისამებრ, აწარმოებს საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებათა აღმასრულებელი ან იმ ადგილის სასამართლოს აღმასრულებელი, სადაც აღსრულება მიმდინარეობს.

55. ზედამხედველობა აღსრულების წარმოებისათვის და ხელმძღვანელობის გაწევა საარბიტრაჟო კომისიების აღმასრულებელთა და სასამართლოს აღმასრულებელთა აღსრულებითი მოქმედებისათვის ეკუთვნის იმ საარბიტრაჟო კომისიას, რომელმაც აღსასრულებელი გადაწყვეტილება გამოიტანა.

© ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის რაიმე სიძნელე აღმოჩნდა, საარბიტრაჟო კომისიის აღმასრულებელი და სასამართლოს აღმასრულებელი აცნობებს ამას აღნიშნულ საარბიტრაჟო კომისიას, ხოლო აღსრულებითი მოქმედებას არ შეაჩერებს.

56. გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოს არასწორი მოქმედების გამო დაინტერესებულ დაწესებულებას, საწარმოს და კერძო პირს უფლება აქვს შვიდი დღის განძავლობაში განსასაჩივრებული მოქმედების ჩადენის დღიდან ან იმ მომენტიდან, როდესაც მან ამ მოქმედების ჩადენა შეიტყო,—შეიტანოს საჩივარი აღმასრულებელის მოქმედების შესახებ იმ საარბიტრაჟო კომისიაში, რომლის მინდობილობითაც სწარმოებს აღსრულებითი მოქმედება.

IV. სასამართლო ხარჯი.

57. საარბიტრაჟო კომისიაში საქმის წარმოებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს:

ა) სასამართლო ბაჟი და მისი ზედნართი, უკეთუ ეს უკანასკნელი დადგენილია ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების თანწახმად; ბ) გამოსაღები საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯის დასაფარავად და გ) საღერბო და საკანცელარიო გამოსაღები.

სასამართლო ბაჟი და სხვა გამოსაღები და ხარჯი არ გადაჰხდება სახელმწიფო (მათ შორის კომუნალურ) დაწესებულებასა და საწარმოს, რომელიც ინახება საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი სახსარით სახარჯთაღრიცხვო წესისამებრ და აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ იმ კომუნალურ საწარმოთ—კანალიზაციისა, ასენიზაციისა, წყლის მიწოდებისა, განათებისა, დეზინფექციისა და სხვ. დარგში,—რომლებიც კეთილმოწყობრნა და ჯანმრთელობის მიზნით ინახება და რომელთა ექსპლოატაციასაც ეწევიან კომუნალური ორგანოები უშუალოდ, ოჯარით გაუცემლად.

58. სასამართლო ბაჟი გადახდევინებულ უნდა იქნეს თვითეული პირვანდელი და შესაგებელი სასარჩელო განცხადებისათვის—სარჩელის ფასის ერთი პროცენტის რაოდენობით.

იმ სარჩელისათვის, რომელიც შეფასებულ არ უნდა იქნეს, და აგრეთვე იმ სარჩელისათვის, რომლის ფასის განსაზღვრაც სარჩელის წარდგენის წამს საძნელოა, სასამართლო ბაჟი გადახდევინებულ უნდა იქნეს 10 მანეთის რაოდენობით. სასამართლო ბაჟის საბოლოო რაოდენობა ამ შემთხვევაში განისაზღვრება გადაწყვეტილების დადგენის დროს.

მესამე პირის საქმეში შესვლის განცხადებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს სასამართლო ბაჟი, უკეთუ აღნიშნული მესამე პირი საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნით შედის.

59. იმ საარბიტრაჟო კომისიის თვითეული საკასაციო საჩივრისათვის, რომლის გადაწყვეტილების შესახებაც საჩივარია შეტანილი, სასამართლო ბაჟი გადახდევინებულ უნდა იქნეს საჩივარში აღნიშნული სადავო თანხის ან სხვა სადავო ქონების ღირებულების ნახევარი პროცენტის რაოდენობით.

№ 11 ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩელის გადიდების დროს ბაჟის დანაკლისი თანხა შეტანილ უნდა იქნეს სასარჩელო მოთხოვნის გადიდების შესახებ წარდგენილ განცხადებასთან ერთად. სასარჩელო მოთხოვნის შემცირების დროს შეტანილი ბაჟი დაბრუნებულ არ უნდა იქნეს.

60. პატივისადებ გარემოებათა გამო საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან დააწესოს სასამართლო ბაჟის შეტანის ვადის გახანგრძლივება ან გადასდოს მისი შეტანა არა მეტის ხნით, ვიდრე საქმის დამთავრებამდე.

ბაჟის პირიანი გადახდის უზრუნველსაყოფად მოსარჩელეს ქონება შეკრულ უნდა იქნეს სათანადო თანხის ფარგალში.

საქმის დამთავრებამდე შეუტანელი ბაჟი გადაჰხდება მოსარჩელეს, თუნდაც სასამართლო ხარჯის ანაზღაურება საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებით მის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისროს.

61. შეტანილი სასამართლო ბაჟი დაბრუნებულ უნდა იქნეს, უკეთუ საქმე, მოსარჩელეს განცხადებისამებრ, მოსპობილ იქნა იმ დღემდე, როდესაც ამ საქმის შესახებ საარბიტრაჟო კომისიის პირველი სხდომა უნდა შემგდარიყო.

62. სარჩელის ფასი განისაზღვრება:

ა) ფულადი თანხის გადახდევინებისა ან ქონების შესახებ აღძრული სარჩელისათვის—სადავო თანხით ან სადავო ქონების ღირებულებით;

ბ) რამდენიმე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნისაგან შემდგარი სარჩელისათვის—ყველა მოთხოვნის საერთო თანხით;

გ) ხელშეკრულების მოქმედების, მოსპობისა ან განგრძობისა და აგრეთვე ხელშეკრულების კანონიერად ცნობის შესახებ აღძრული სარჩელისათვის—იმ ხელშეკრულების საერთო ღირებულებით, რომელიც ცნობილ უნდა იქნეს მოსპობილად ან ბათილად, ხოლო როდესაც იმ ხელშეკრულების ნაწილი, რომლის მოქმედებაც უნდა მოისპოს ან განიგრძოს, უკვე შესრულებულია,—ხელშეკრულების დანარჩენი შეუსრულებელი ნაწილის ღირებულებით.

სარჩელი სამოქალაქო ბრუნვიდან გამორიცხული ქონების შესახებ შეფასებულ არ უნდა იქნეს. უკეთუ ასეთი ქონების ღირებულება მოთხოვნილ იქნა მოსარჩელეს მიერ ან გადაწყვეტილ იქნა საარბიტრაჟო კომისიის მიერ,—ბაჟი გადახდევინებულ უნდა იქნეს საერთო წესისამებრ.

63. საღერბო და საკანცელარიო გამოსაღები გადაჰხდება მოდავე მხარეებს საერთო წესისამებრ.

64. გამოსაღები საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯის დასაფარავად (მოწმეთა დაბარება ადგილობრივ გასინჯვა, ექსპერტიზის მოხდენა და სხვ.) შეტანილ უნდა იქნეს მხარეების მიერ ნამდვილი საჭიროების რაოდენობით, რასაც საარბიტრაჟო კომისია განსაზღვრავს.

65. საარბიტრაჟო კომისიას უფლება აქვს დააკისროს მოპასუხეს მოსარჩელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯი პროპორციულად იმ სასარჩელო მოთხოვნათა ოდენობისა, რაც დაკმაყოფილებულია საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებით.

მოსარჩელეს შეიძლება დაეკისროს მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯის გადახდა პროპორციულად სარჩელის იმ ნაწილისა, რაზედაც გადაწყვეტილე-

ბით უარია ნათქვამი. ამასთან ერთად, საარბიტრაჟო კომისიას უფლება აქვს, ზემოაღნიშნული წესის გამონაკლისად, დააკისროს ერთ-ერთ მხარეს ხარჯი მთლად ან იმაზე მეტი, ვიდრე მას ამ ხარჯის პროპორციონალურად განაწილების დროს წილად ჰხვდება. აღნიშნული გამონაკლისი ხარჯის პროპორციონალური განაწილებისა თვითეულ ცალკე შემთხვევაში დასაბუთებულ უნდა იქნეს საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებაში.

66. სასამართლო ხარჯის გარდა, მხარეს შეიძლება აეანზღაუროს საქმის წარმოების ხარჯი სარჩელის იმ ნაწილის ორი პროცენტის რაოდენობით, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება მიღებულია ამ მხარის სასარგებლოდ, ხოლო არა უმეტეს 1.000 მანეთისა.

დადგენილება № 68 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წლის აპრილის 19.

123. 1928 წელს, უმუშევრობის გამო, პოლიგრაფიული მრეწველობის კვალიფიციურ მუშათა უზრუნველყოფის უკიდურესი ვადის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1928 წლის აპრილის 5-ის თარიღისა და 217 №-ის დადგენილება—1928 წელს, უმუშევრობის გამო პოლიგრაფიული მრეწველობის კვალიფიციურ მუშათა უზრუნველყოფის უკიდურესი ვადის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური

დაზღვევის მთავარი სამმართვ. უფროსის მოადგილე **თუშიშვილი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი.

№ 217.

1928 წლის აპრილის 5.

1928 წელს, უმუშევრობის გამო, პოლიგრაფიული მრეწველობის კვალიფიციურ მუშათა უზრუნველყოფის უკიდურესი ვადის შესახებ.

რადგანაც უმუშევრობას პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა შორის ხანგრძლივი ხასიათი აქვს, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ 1927 წლის დეკემბრის 14-ის თარიღისა და 406 №-ით დამტკიცებული წესების 23 მუხლის გამონაკლისად, რომელი წესებიც შეეხება უმუშევრობის გამო დახმარების სოციალური დაზღვევის წესით დანიშვნასა და მიცემას (სსრკ შრ. სახ. კომისარიატის „იზვესტიაᲐ-ს 1928 წ. № 1-2),—სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

1. დროებით, 1929 წლის იანვრის 1-მდე, უმუშევრობის გამო დახმარების მიცემა პოლიგრაფიული მრეწველობის იმ უმუშევარ მუშებისათვის, რომელნიც უმუშევართა 1-ლ კატეგორიას ეკუთვნიან, მოსპობილ იქნეს საბოლოოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ უმუშევარმა უმუშევრობის ერთი პერიოდის განმავლობაში საერთოდ 27 თვიური დახმარება მიიღო.

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1928 წლის აპრილის 1-დან.

1-ლ მუხლში აღნიშნულ უმუშევარს, რომელსაც ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე უმუშევრობის გამო დახმარების მიცემა მოესპო იმიტომ, რომ მას უმუშევრობის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში 18 თვიური დახმარება მიუღია, დახმარების მიცემა უნდა განუახლდეს 1928 წლის აპრილის 1-დან საამისო განცხადების წარუდგენლად.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს
თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივანი **კუზიატინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკაᲐ-ს 110 №-ში 1928 წლის მაისის 15-ს.

დადგენილება № 70 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წლის აპრილის 21.

124. მუშა-მოსამსახურეთა და უმუშევართათვის სამხედრო სამსახურში გაწვევისა და მისი გავლის დროს შრომისა და სოციალური დაზღვევის დარგში მინიჭებული შეღავათების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წლის აპრილის 4-ის თარიღისა და 206 №-რის დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთა და უმუშევართათვის სამხედრო სამსახურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა და მის გავლის დროს შრომისა და სოციალური დაზღვევის დარგში
მილი შეღავათების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის დამატების შე-
სა

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ამერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის

საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ულინსკაია.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა.

№ 206

1928 წლის აპრილის 4.

მუშა-მოსამსახურთა და უმუშევართათვის სამხედრო სამსახურში გაწვევისა და მისი გავლის დროს შრომისა და სოციალური დაზღვევის დარგში მინიჭებული შეღავათების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის დამატების შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, გზათა სახალხო კომისარიატთან და სრულიად რუსეთის პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით,—ადგენს:

შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წლის ივნისის 20-ის თარიღისა და 138 №-ის ინსტრუქციაში „მუშა-მოსამსახურეთა და უმუშევართათვის სამხედრო სამსახურში გაწვევისა და მისი გავლის დროს შრომისა და სოციალური დაზღვევის დარგში მინიჭებული შეღავათების შესახებ“ („სსრკ შრომის სახ. კომისარიატის იზვესტია“ 1927 წ. № 28):

I. დაემატოს ინსტრუქციას მე-9-ა მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„9-ა. უკეთუ მუშა, მოსამსახურე ან უმუშევარი გაწვეულ იქნა შესაკრებელის გასავლელად ან ჩასატარებლად, რომლის განმავლობაშიაც მას, ამა ინსტრუქციის თანახმად, შეენახება სამუშაო საშოვარი ან დახმარება უმუშევრობის გამო,—ეს საშოვარი თუ დახმარება მიცემულ უნდა იქნეს წინდაწინ შემდეგი თვის 1-ლ რიცხვამდე. აღნიშნული საშოვრის ან დახმარების გადახდა მოხდება შემდეგნაირად: მუშა-მოსამსახურეს იგი მიეცემა მუშაობის ფაქტიურად შეწყვეტის დღეს, ხოლო უმუშევარს—არა უადრეს ხუთი დღისა გაწვეული უმუშევრისშესაკრებელ თუ სასწავლო პუნქტში ან თავის სამხედრო ნაწილში გამოცხადებამდე.

შესაკრებელის დანარჩენი ნაწილისათვის, რაც შემდეგ თვეზე მოდის, სამუშაო ხელფასი და დახმარება უმუშევრობის გამო გადახდილ უნდა იქნეს ამა თუ იმ დაწესებულებაში ან საწარმოში ან და დამზღვევ სალაროში დადგენილ ჩვეულებრივ ვადაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. სამუშაო ხელფასის წინდაწინ მიცემა არ სწარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა-მოსამსახურეს, მე-9 მუხლის (და მისი შენიშვნის) თანახმად, შეენახება მხოლოდ სამუშაო დღის ერთი ნაწილის სამუშაო საშოვარი.

II. ინსტრუქციის 50 და 51 მუხლში სიტყვების „ერთდროული დახმარება„-ს შემდეგ ჩაემატოს საჩვენებელი: „ამა ინსტრუქციის 18, 21, 30, 45 და 47 მუხლები.“

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის საერთო
სამართველოს გამგე **კოროშუნოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 110 №-ში 1928 წლის მაისის 15-ს

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის ს ტ ა მ ბ ა

მთავლიტი 1472. ტირაჟი 1000